ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 150

ქ. გორი 13 ოქტომბერი 2017 წელი

ერთის მხრივ ა(ა)იპ ,,ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ფეხბურთის კლუბი გორი" (ს.კ 417874973) (შემდგომში –,,შემსყიდველი"), წარმოდგენილი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი გია ისიანის სახით და მეორეს მხრივ ა(ა)იპ ,,დამოუკიდებელ საზოგადოებრივ ექსპერტთა კავშირი" (ს.კ 218032938) (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი კავშირის გამგეობის თავჯდომარე გიორგი ფერშანგიშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და ,,სახელმწიფო შესყიდვების შერსახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს" ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ " (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა შორის ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი-შემსყიდველს.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის. მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. "დღე" , "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. "შემსყიდველი" - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. "მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. "მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

2.1. ა(ა)იპ ,,ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ფეხბურთის კლუბი გორის" საკუთარი სახსრებით საექსპერტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა (კოდი CPV-71319000).

2.2 ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს ა(ა)იპ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ფეხბურთის კლუბი გორის"-ს მფლობელობაში არსებული ობიექტების(გურამიშვილის ქ.№5-ში (საკადასტრო კოდი 66.45.26.217) მდებარე თენგიზ ბურჯანაძის სტადიონი,მასზე მდებარე შენობა-ნაგებობებით და მინდვრით, ქ.გორში ცხინვალის გზატკეცილის მე-2 კმ-ზე (საკადასტრო კოდი 66.45.06.024) მდებარე ბუნებრივ საფარიანი მოედანი და ქ.გორში გურამიშვილის ქ. 1-ში მდებარე (საკადასტრო კოდი 66.45.26.271) ხელოვნურსაფარიანი მოედნი) ქირის წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ საექსპერტო დასკვნის მომზადება.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 2000 (ორიათასი)ლარს.

3.2. მომსახურების ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადს.

4. ანგარიშწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ იწარმოებს ხელშეკრულებით გაწეული მომსახურებაზე გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტის შესაბამისად. 10 (ათი) სამუშაო დღის დღის განმავლობაში.

5. მიღება–ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მიღება–ჩაბარების აქტს.

5.2. მიღება–ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლება ეძლევა წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელისმომწერ პირს.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები

6.1. შესყიდვის ობიექტის მომსახურების მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2017 წლის 03 ნოემბრის ჩათვლით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია

7.1.1. მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება;

7.1.2. გამოიყენოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებები.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია

7.2.1. სრულად და დადგენილ ვადაში გადაიხადოს „მომსახურების" საფასური, 3.1. პუნქტის მიხედვით;

7.2.2 გამოიყენოს „მომსახურება" საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

7.2.3. ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია

7.3.1. ა(ა)იპ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ფეხბურთის კლუბი გორის"-ს მფლობელობაში არსებული ობიექტების (მითითებული 2.2 პუნქტში) ქირის წლიური საფასურის განსაზღვრისათვის მოსთხოვოს აუცილებელი და საჭირო ინფორმაცია.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1. უზრუნველყოს ქირის წლიური საფასურის ექსპერტიზის დასკვნის დროულად და ჯეროვნად მომზადება;

7.4.2.კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები;

8 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1.ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი.

8.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და გაწეული მომსახურების ხარისხის პროცესის კონტროლს.

8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

9.2იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3.საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4.ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5.მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მარეს გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

10.6.ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1.მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2 თუ, ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

14. რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ფეხბურთის კლუბი გორი“

მისამართი: გორი, გურამიშვილის ქ. № 5

საბანკო რეკვიზიტები :ბანკი

სახელმწიფო ხაზინა ბ/კოდი TRESGE22

ს/კ 417874973

„მიმწოდებელი“

ა(ა)იპ „დამოუკიდებელი საზოგადოებრივ ექსპერტთა კავშირი“

მისამართი: ქ.გორი,სამების №1.

საბანკო რეკვიზიტები: პროკრედიტ ბანკი

ბანკის კოდი MIBGGE22

ა/ა GE10PC0143600100034857

ს/კ 218032938

დირექტორის მ/შ

გია ისიანი

კავშირის გამგეობის თავჯდომარე

გიორგი ფერშანგიშვილი

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ.გორი 13 ოქტომბერი 2017 წელი

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ ა(ა)იპ ,,ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ფეხბურთის კლუბი გორი"-ს მიერ 2017 წლის 13 ოქტომბერს დადებული N150 ხელშეკრულება ა(ა)იპ ,,დამოუკიდებელ საზოგადოებრივ ექსპერტთა კავშირ"-თან (ს.კ 218032938) გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

დირექტორის მ/შ გია ისიანი

შესყიდვების მენეჯერი სვეტლანა ზაუტაშვილი